# სამშობლო

სამშაბათი
27 ოკტომბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი ... პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეთ ... განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 207 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 207

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა."

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო"
— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

1915 წ.
ოკტომბერი
27
სამშაბათი

ანონსი:
მზადდება
„ღალატი", რამიშვილის „სალომეს ოჯახი".

„ქართული დრამა". № 14
ქალაქის თეატრი.
დანიშნულია საღამოს 8 საათზე

## ილიას საღამო.

1 განყ. მოხსენებას ილიას მოღვაწეობის შესახებ წაიკითხავს ა. წერეთელი. 2 განყ. გრიმებში და ტანისამოსებში წაკითხული იქნება თითო სცენა „გლახის ნაამბობიდან" და „კაცია ადამიანიდან". 3 განყ. მწერლები და მსახიობები წაიკითხავენ ლექსებს. დასასრულ სურათი ილია თავის გმირებს შორის.

მონაწილეობას მიიღებენ: ია ეკალაძე, ნ. ლორთქიფანიძე, დ. მესხი, პავლე იაშვილი, გ. ტაბიძე და „ქართული დრამის" მსახიობები.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი შალვა დადიანი.

ადმინისტრაცია „ქართული დრამის" ამხ-სა. 2—1

## კოოპერატივების საყურადღებოთ

ვინაიდან სოფლის კოოპერატივებს არ შეუძლიათ ზოგიერთი წვრილმანი საქონელი გამოიწერონ პირდაპირ ადგილიდან, ე. ი., პირველი ხელიდან, ამისათვის ვაცნობებ კოოპერატივებს, რომ ჩემ სავაჭროში შეუძლიათ ყოველგვარი საბაკალეინო საქონელი შეიძინონ სალავათიან ფასებში, აგრეთვე შეუძლიათ გაიგონ ყოველივე ცნობა, როგორც საქონლის ფასებისა, აგრეთვე ფირმებისა; ამასთანავე თანაგრძნობით გავუწევთ ყოველგვარ დახმარებას რითაც კი შეგვეძლება.
5—1 დათიკო ქებაძე.

## ქ. ქუთაისში

1 ნოემბრიდან, თბილისის ქ., მ. კვინიხიძის ქალთა პროგიმნაზიის სადგომში, გაიხსნება როიალზე სწავლების კლასი. სწავლა სწარმოებს კონსერვატორიის პროგრამით, კვირაში სამჯერ. სწავლის ფასი დაწესებულია კვირეულ სამ გაკვეთილზე თვეში ხუთი მანეთი, რომელიც წინდაწინ უნდა გადახდილ იქნეს.
ქალ. თეატრში შემდეგ გაიმართება მოწაფეთა საღამო.
ჩაწერა და მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე 8—2 საათ. და 4—6 საათამდი იქვე. თ.

„სინათლის" საზოგადოების დედათა ქართულ სასწავლებელში
მასალები გამცოცნები სწარმოებს ყოველ დღე დილის რვა საათიდან თორმეტამდე.
თფილისის ქუჩა, გ. მეიფარიანის სახლი. თ.

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისთვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის ვამზადებ მოწაფეებს, ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის უოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე
უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

კბილის ექიმი რ. პ. სვანაძისეული
მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.
თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლში.

ექიმი ი. ჩარექიშვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძისსახლი. თ

ელექტრო „რადიუმი" თეატრი
ორშაბათიდან, 26 ოკტომბრიდან ახალი საუცხოვო პროგრამა.

## უცოდველმა თქვენ შორის ესროლოს ქვა.

ახალი თანამედროვე დრამა 5 ნაწილათ. მოზჟუხინისა და რინდინის მონაწილეობით.

## განცხადება.

შავი ზღვის ნაპირა რკინის გზისათვის გასაკეთებლათ საჭიროა ქვემოდასახელებული რაოდენობა ფურაჟისა და სურსათისა.

თივა შეკრული ახალი მოთიბული 35000 ფუთი; ბზე შეკრული პრესის საშუალებით, ან ისე 12000 ფ.; პურის ჩალა 15000 ფ.; პურის ფქვილი მე-5 და მე-7 ხარისხისა თანაბრათ სულ 12000 ფ.; კაპუსტის მწვანილი 100 ფ.; კარტოფილი 300 ფ.; მარილი—200 ფ.; ღორის ქონი სისქით, არა ნაკლები ერთი გოჯისა—500 ფ.; მზეუმზირას ზეთი—200 ფუთი (ბოჩკებში 15 ფ.); ბრინჯი გრეჩნ.—1500 ფ.; პურის—2500 და ფქვილი 100 ფ.

აღნიშნული საგნები უნდა მოიტანოს მოიჯარადრემ ვადაზე თანაბრათ:

12 დეკემბრისათვის მდგომარე წლისა და თებერვლის, აპრილისა და ივნისის 1 რიცხვისთვის 1916 წლისა.

რკინის გზის სამმართველო იტოვებს უფლებას გაადიდოს ან შეამციროს აღნიშნული რაოდენობა 25 პროცენტით.

იმ პირებს, ვინც მოინდომებს აღნიშნულ სურსათისა და ფურაჟის მიწვდას მთლიანათ, ან ნაწილათ რომელიმე საგნისა, რკინის გზის საამშენებლო სამმართველო სთხოვს შეიტანონ განცხადება (უკანასკნელი ფასის აღნიშვნით თითოეულ ფუთზე წმინდა წონის ფრანკო ვაგონის სადგურიდან, საიდანაც გაიგზავნება, ან რა ეღირება ახალ სენაკის სადგურამდი) სოხუმი, შავი ზღვის ნაპირა გუბერ. სამეურნეო ნაწილის უფროსის სახელზე არა უგვიანეს 15 ნოემბრისა მდგომარე წლისა.

განცხადებები გამოგზავნილი უნდა იქნეს დახურულ კონვერტებით (თუ შეიძლება ლუქის ბეჭდით) კონვერტებზე უნდა იყოს წარწერა: „განცხადება ფურაჟისა და სურსათის მიწვდის შესახებ".

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს ლუქის ბეჭდით ნიმუში (ორ ორი ეგზემპლიარი) შვრიის თქვილის, ბრინჯისა და პურისა ჩაბარება და უკანასკნელი მიღება მოხდება ფურაჟისა და სანოვაგისა ახალ სენაკის რკინის გზის სადგურზე.

პირობის შესაკვრელი საგერბო ხარჯები უნდა იყოს მოიჯარადრისა.

ყველა ხარჯი სანოვაგის შესახვევი, შესაკვრელი და ჭურჭლებისა მოიჯარადრისაა, ხოლო ტომრებსა და ბოჭკებს სამართველო შეისყიდის მორიგებით

ახალ-სენაკის მატერიალური სამყოფის გამგე.

დაიბეჭდა და იყიდება ქუთაისში მთავრიშვილის და ამხ. და თბილისში სერ. კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში
სამსონ დათეშიძის მიერ შედგენილი
„სახატავი ნიმუშები და ქართული დედანი",
ფასი 25 კაპ. მე-4-ე გამოცემა. ეს გამოცემა საკუთრებად შეძენილია მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიისაგან. 10—2

ექიმი მულინი
ყელის, ცხვირისა და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

### უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

**პეტროგრადი.** 24 ოკტ. ოფიციალური. დასავლეთის ფრონტი. რიგის დასავლეთით სოფ. უშინის რაიონში ჩვენ გერმანელების რამდენიმე იერიში მოვიგერეთ. სვენტენის ტბის სამხრეთით გერმანელების კონტრიერიში გძელდება. სამხრეთით პრიპიატამდი ცვლილება არ მომხდარა დამატებითი ცნობით კოსტიუხნოვკასთან რაფალოვკის დასავლეთით, 22 ოქტომბერს მომხდარ ბრძოლის დროს ტყვეთ წამოვიყვანეთ 22 აფიცერი და 712 ჯარის კაცი. წამოღებულია აგრეთვე 7 ტყვიისმფრქვეველი და 2 ზარბაზანი. სოფელ ბუდკის მხრიდან მტრისგან მოტანილი იერიში მოვიგერეთ და მტერი უწესრიგოთ უკუვაქციეთ თავის თხრილებისკენ. სასტიკი ბრძოლები ხანამ სოფ. სემიკოვიცის რაიონში და იშკუვსკის ტბის დასავლეთ ნაპირზე, გაიარა. რამდენსამე დღის წინ მოულოდნელმა და მოკლე შეტევამ მდ. სტრიპის მარჯვენა ნაპირზე გადასვლის დროს სოფელ სემიკოვიცთან, ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა. აქ ტყვეთ ჩავიგდეთ ხელში 4500 ჯარის კაცის მეტი და ჯერ კიდევ გამოურკვეველია აფიცერთა და ტყვიის მფრქვეველთა რიცხვი, უფრო ბევრი და ბრკოლება შეხვდა ჩვენს ძლევამოსილ ჯარს იმ დღიდან, როცა იგი გაემგზავრა მოპირდაპირის ზურგიდან მოსაქცევათ მდინარე სტრიპზე და იშკოვის ტბაზე გადასვლის დროს. ავსტრო-გერმანელების აურაცხელი ტყვეების წართმევას, რომელნიც ჩვენმა ჯარმა ხელში ჩაიგდო ამ ბრძოლების დროს, დიდის ენერგიითა და თავგანწირვით შეეცადნენ მოპირდაპირენი სწორედ იმ დროს, როდესაც იგინი ჯერ კიდევ მდ. სტრიპის მარჯვენა ნაპირზე იყვენ. არტილერიისა და თოფის გაძლიერებული ცეცხლის დახმარების მიუხედავათ, ჩვენმა ჯარმა შესძლო მტრის ყველა იერიშის მოგერება და თავისი მხრიდან, დაუშინა რა არტილერიის გრიგალისებური ცეცხლი, ბრძოლით გავიდა მდ. მარჯვენა ნაპირზე სწორეთ მაშინ, როდესაც ტყვეები და მთელი სამხედრო დავლა მეორე ნაპირზე გადასხეს.

კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

### 25 ოქტომბერი.

რიგის ფრონტზე ჩვენმა ჯარმა მოხერხებულათ შეუტია გერმანელებს სოფ. ოლიასთან, და რიგიდან სამხრეთ დასავლეთით. მოპირდაპირე იძულებული გახდა დროებით დაეტოვებია ეს პუნქტი. სოფელ ლაურგთან, მდ. დვინას მარცხენა ნაპირზე ისკიულის ახლოს მდებარე სასაფლაო ჩვენმა ჯარმა დაიკავა.

სვენტენის ტბის დასავლეთ ნაპირზე

გერმანელების თხრილების მეორე ხაზის აღების დროს ჩვენ წამოვიყვანეთ 300 ჯარის კაცი, 2 ტყვიის მტყორცნელი და პროჟექტორი. ამის შემდეგ გერმანელებმა ოთხჯერ ზედიზედ მოიტანეს კონტრ-იერიში სოფ. მერვეჟეს რაიონში, მაგრამ მოგერებულ იქნენ. კოსტიუხნოვკის დასავლეთით ჩვენ წამოვიყვანეთ 22 ოკტ. მომხდარ ბრძოლის დროს ტყვეები. ბრძოლა გრძელდება.

### კავკასიის ასპარეზი.

ზღვის ნაპირა რაიონში ოსმალები შეეცადენ მდ. არხავეზე გადმოსვლას, მაგრამ უკუვაქციეთ არტილერიის ცეცხლით.

ტორტუმის რაიონში სოფ. ხრისტასპორთან და ალაშქერტის ხეობის რაიონის დასავლეთით, სოფელ ჯოროვიან მოწინავე რაზმთა შორის შეტაკება ხდება. ვანის ტბის სამხრეთ ნაპირზე სოფელ შატახას რაიონში ქურთებთან შეტაკება.

**პარიზი.** 23 ოკტ. დღის ოფიციალური ცნობა. ენსა და უაზს შუა პკირალენ კენევლერის სექტორებში მტერმა ჯერ თოფით სროლა გააჩაღა ჩვენი თხრილების წინააღმდეგ არეულობის გამოსაწვევათ შემდეგ კი არტილერიის ცეცხლი დაანთო, მაგრამ ვერაფერი დაგვაკლო. შამპანში მოვიგერეთ ორი იერიში, რომელიც ხელით სასროლ ყუმბარებით იყო. იერიშები მოტანილი იყო ჩვენი თხრილების წინააღმდეგ ლიბაკურტინთან. გერმანელები ხმარობდენ ცხელ სითხეს. დანარჩენ ფრონტზე შესამჩნევი არა მომხდარა. ელზასში ჩვენმა ერთმა საჰაერო ესკადრონმა გადაიფრინა დორნახის თავზე და ყუმბარები ესროლა სულის შემხუთავ გაზიან ყუმბარების დასამზადებელ ქარხანას.

ბალკანეთის ფრონტი. 20 ოკტომბერმა მშვიდობიანათ ჩაიარა. ბულგარლები თხრილებს აკეთებენ კრივოლაკთან ჩვენი მოწინავე პოზიციების ახლოს. 21 ოკტომბერს დილით რაბროვოს ჩრდილოეთით დაიწყო ბრძოლა. ლაცერნზე გაღებული ხიდი ხელში ჩავიგდეთ კრივოლაკის დასავლეთით.

**პარიზი.** 24 ოკტომბერი. დღის ოფიციალ. ცნობა. შამპანში გერმანელებმა კვლავ მოიტანეს იერიში ჩვენი თხრილებისა და საველე სიმაგრეების წინააღმდეგ ლაკურტინთან. იერიში მოვიგერიეთ. არგონებსა და მაასს შუა, სადაც ნაღმებითაა ბრძოლა, ჩვენი [illegible] ნაღმის აფეთქებით ძლიერ დაზიანდა გერმანელების საველე სიმაგრეები ოლინკმელანკურის სექტორში.

საზღვაო შტაბი იტყობინება, რომ მტრის წყალქვეშა ნავებმა, რომელნიც ოკეანედან გამოვიდენ გიბრალტარის სრუტეში 22 ოქტ. ჩაძირეს საფრანგეთის გემი „კალვადოსი“ და იტალიის გემი „იოკიო“. კამანდა გადარჩა.

**რომი.** 25 ოქტ. მთავარი ბინის ცნობა. ლაზნოს ხეობაში ჩვენი რაზმი გადავიდა კნეზეს მარჯვენა ნაპირზე, იერიში მოიტანა გარილევენეკის ჩრდილოეთით მტრის პოზიციაზე და დიდი ზარალი მიაყენა მტერს. მტრის არტილერიამ განაახლა საარტილერიო სროლა ბენეკეს სათავესთან მდებარე სოფლებზე. სროლით რამდენი შენობა დაზიანდა და აგრეთვე რამდენსამე ალაგას ცეცხლი გაჩნდა საარტილერიო ბრძოლა გუშინ გაგძელდა იზონცოს ფრონტის გასწვრივ ზაგორის წინააღმდეგ დილით იერიში მოიტანა მტერმა იერიში მალე მოვიგერიეთ. მტრის არტილერია იერიშის დროს არ მოქმედებდა. ჩვენი ქვეითა ჯარი, მიუხედავათ კოკისპირული წვიმისა, მარჯვეთ განაგრძობს მუშაობას პოზიციების გასამაგრებლათ. მოხერხებულათ მიტანილი იერიშით ჩვენმა ჯარმა ხელში ჩაიგდო სენმიკელის რაიონში მტრის გამაგრებული თხრილი, საიდანაც წამოიყვანა 151 ტყვე, ბევრი ტყვიის მტყორცნელი და სამხედრო სურსათი.

**პარიზი.** საღამოს ოფიც. ცნობა. 24 ოკტ. არტუაში, ბუალაშისა და ჟივაშის ტყეში ორივე მხრიდან საარტილერიო სროლა იყო ჩვენმა ბატარეიამ ენრის ჩრდილოეთით მოხერხებული მკვირცხლი სროლა აუტეხა გერმანელების საწყობებს და ბანაკს. შამპანში, ტაჰიურსა და მაღლობ 199 შუა, ქვეითა ჯარის დაუხმარებლათ საარტილერიო სროლა იყო სხვილი კალიბრის ზარბაზნებიდან. ლეპრეტის ტყეში სასანგრო ბრძოლა რამდენიმეჯერ განმეორდა ხელით სასროლ ყუმბარებით. სასანგრო ზარბაზნებით სროლა იყო ვოგეზებშიაც.

**ჰავრი.** 24 ოკტ. ბელგიის ცნობა. მტრის არტილერიამ დღეს უმოქმედობა გამოიჩინა. დიკსმიუდეს ჩრდილოეთით დრიგრასტეტის მიმართულებით ჩვენმა არტილერიამ გაფანტა მოპირდაპირის მუშები, რომელნიც სიმაგრეებზე მუშაობდენ.

**პარიზი.** 23 ოკტ. საღამოს ოფიციალური ცნობა. დღის განმავლობაში არტუაში და კერძოთ ლოოსის სექტორში საარტილერიო ბრძოლა გძელდებოდა. შამპანში მასიჟის ჩრდილოეთით ისეთივე თავგანწირვით გძელდებოდა ბრძოლა, როგორც წინათ. ახალი იერიშების დროს ისეთსავე საშუალებას ხმარობდენ, როგორც წინა დღით. მტერმა შესძლო ჩვენი თხრილების რამდენიმე ნაწილის აღება 199 მაღლობთან. სხვა ადგილებში მტერი ყველგან შეჩერებულ იქნა. ვოგეზში ერთერთი ჩვენი ნაღმის აფეთქებით განადგურდა გერმანელების ბლოკგაუზი.

——

ბალკანეთის ფრონტი, მიუხედავათ კრივოლაკის გასამაგრებლათ ენერგიული მომზადებისა, ცდამ მტერს უნაყოფოთ ჩაუარა. ამავე დღეს რაბროვოს აღმოსავლეთით ხელში ჩავიგდეთ სოფლები. ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა იერიში მიიტანა საზღვარზე სადარაჯო ბრუსტვერებზე. ბულგარლები მარჯვეთ მოქმედებენ არტილერიით. გაძლიერებული საარტილერიო ბრძოლაა ველენდროვოსთან, რაბროვოს ჩრდილოეთით.

**ჰავრი.** 23 ოკტ ბელგიის ცნობა. მტრის არტილერიამ მძლავრათ დაუშინა ჩვენს პოზიციებს ყუმბარები სოსტკირკის ჩრდილო-აღმოსავლეთით; სენჟაკის სამხრეთით გერმანელებმა ზარბაზნები დაუშინეს ფულპენ-პერვიზე—ავეკაპელე—სოსტკირკ—კოდამის მიდამოეში. ჩვენი ბატარეია ენერგიულათ უპასუხებდა.

**პარიზი.** 26 ოკტომბერი. დღის ოფიციალური ცნობა. სომსა და უაზს შუა ჩვენ ხელში ჩავიგდეთ გერმანელების საყარაულო. ანდენშრისა და უოიგანლის წინ. ჩვენმა ცეცხლმა შეაჩერა მტრის სასანგრო ზარბაზნების მოქმედება. შამპანში ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ გერმანელების მიერ მოტანილი იერიში ხელით სასროლ ყუმბარების საშუალებით, იოლათ მოვიგერეთ. ვოგეზებში ლაშპელოტუიან ბრძოლა გძელდება. ღამით გერმანელების მფრინავებმა 8 ყუმბარა ჩამოაგდეს ლუკსკერკის რაიონში დაიჭრა ერთი მუშა. ყუმბარამ უმნიშვნელო ზარალი მოგვაყენა.

**დასავლეთის ფრონტი.** 23 ოკტ. კრივოლაკთან ჩვენს მოწინავე ხაზებზე სიწყნარე იყო. ლაცერნის ფრონტზე შესამჩნევი არა მომხდარა-რა. რაბროვოს მხრით ჩვენი წინ წაწევა გძელდება.

### ოსმალეთის ასპარეზი.

**ლონდონი.** 23 ოკტომბერი. ექსპედიციო კორპუსის სარდალი ფელდმარშალი მორი იტყობინება, რომ 22 ოკტომბერს, საღამოს 9 საათზე ოსმალებმა ოთხჯერ იერიში მოიტანეს ინგლისელების ჯარის მარჯვენა ფრთაზე. მტერი მოდიოდა ქვიშით გატენილი ტომრებით და აკეთებდა გზა და გზა ბარიკადებს, მაგრამ ჩვენ თოფისა და ხელით სასროლ ყუმბარების ცეცხლით მოვიგერეთ. საღამოს სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ინგლისელების ზარალი უმნიშვნელოა.

**ლონდონი.** 24 ოკტ. ფელდ-მარშალი ფრენჩი იტყობინება, რომ გუშინ 5 საჰაერო შეტაკება მოხდა. გერმანელთა ერთი ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ ჩვენს ბანაკში. პირველი ოკტომბრიდან გადაუღებელი წვიმებია. ნაღმებით ბრძოლა გლეძლდება.

**რომი.** 23 ოკტომბერი. მთავარი ბინის ცნობა. გუშინ ჩვენი არტილერია და ქვეითა ჯარი მარჯვეთ მოქმედებდენ ჩვენ მიერ წართმეულ პოზიციების გასამაგრებლათ. ჩვენ მოვიგერეთ მტრის იერიშები რიენცბერის ხეობაში გორიცის დასავლეთით. ხელში ჩავიგდეთ ტყვიის მტყორცნელი. ძლიერ ცუდი ტაროსია.

## ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

### ბალკანეთში.

„ფრანკფურტერ ცეიტუნგი“ ამტკიცებს, რომ სალონიკში მხოლოდ 78000 ჯარის-კაცია გადასხმული. ნიშის მიმართულებით 5000 ჯარისკაცი მიდის ფრანგებისა სალონიკში ინგლისელები აგებენ ბატონის შენობებს და გაყავთ გევგელში საკუთარი ტელეგრაფი.

„სოკოლოს“ გადმოცემით იტალიის ფლოტი ბულგარეთის სანაპიროებზე ყუმბარების დაშენაში მონაწილეობას იღებს.

ბერლინის ოფიციალური ცნობით, სერბიელებს დრინსკის იქით დაუხევიათ, ვიშეგრადის სამხრეთით. გერმანელებმა მორავიდან სლავკოვიცა-რუდნიკ-კუმის ბატოჩინის ხაზამდი მიაღწიეს. ჩვილაიცის სამხრეთ აღმოსავლეთით იერიშით აიღეს მდ. რესავის ორივე ნაპირზე პოზიციები.

### გერმანეთი.

გერმანელ სოციალისტების ცენტრალურმა კომიტეტმა კანცლერს წინადადებით მიმართა და სთხოვეს საჩქაროთ მოიწვიონ რეიხსტი, რადგანაც სასურსათო და საალყო საკითხები საჩქაროთ გადაწყვეტას თხოულობენ. კანცლერმა პრუსიის დეპუტატების თხოვნა ლანდტაგის მოწვევის შესახებ უარყო ლინდტაგი მხოლოდ ნაახალწლევს შეიკრიბება.

ხმებია, გერმანეთის რეიხსტაგი 6 დეკემბერს შეიკრიბება და სანგრალივა სესიაც იქნებაო.

გერმანეთის მთავრობის განკარგულებამ დაბრაკულ სამხედრო პირებისა და ჯარის კაცების შემოწმების შესახებ ძლიერ დიდი ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა მცხოვრებლებზე. შეამოწმებენ 1870 წლის 8 ეკენისთვიდან დაბადებულთ, რომელნიც სრულიად უვარგისათ იყვნენ ცნობილი სამხედრო სამსახურისათვის- გათავისუფლებული იქნებიან ხელ მეორე შემოწმების დროს მხოლოდ ისნი, ვისაც ქრონიკული ავათმყოფობით არ შეუძლიათ იმსახურონ ჯარში

### რუმინეთი.

„Coriera della sera გადმოცემით რუმინეთის მთავარი შტაბის უმრავლესობა ომის მომხრეა.

საზოგადოება მოითხოვს პარლამენტის მოწვევას, მგრამ ბრატიანუ წინააღმდეგია.

რომიდან იტყობინებიან, რომ ავსტრიელები რიგას სტოვებენო.

——

ბუქარესტის პოლიტიკურ წრეებში ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია გერმანელ აგენტის ვერნერის დაკარგვამ, რომელიც გაგზავნილი იყო რუმინეთში გმინდომელებით, ის სა[illegible] მას შემდეგ, როცა მის განკარგულებაში მიღებული ფულის ნ[illegible] შეამჩნიეს.

——

გერმანეთის რეიხსტაგს 17 ნოემბრისთვის იწვევენ. სოც. დემოკრატები გასოსასვლელათ ემზადებიან ზავის, სიძვირისა და შინაური პოლიტიკის საკითხების შესახებ. სერბიის დიპლომატები პეტროგრადში მოელიან ცნობას დიდი ბრძოლის შესახებ, რომელშიც უნდა მიიღონ მონაწილეობა სამხრეთისა და ჩრდილოეთის ჯარებმა. ამ ბრძოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება, მათი აზრით.

——

„რუსკ. სლოვოს“ ათინიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ საბერძნეთის პალატის სხდომა ზაიმისის კაბინეტის გადადგომით დასრულდა. ვენიზელოს ამერიკულ გაზეთის კორესპონდენტისთვის უთქვამს: თუ მე დავუბრუნდი მთავრობას, ბულგარეთის წინააღმდეგ ომს დავიწყებო.

——

„უტრო როს.“ იტყობინება, რომ ბულგარლებმა კნიაჟევაცი დაიკავეს და სერბიელებს 5 ზარბაზანი წაართვესო.

——

ბიულოვი ლიუცერნში უკვე მივიდა გარეშე საქმეთა სამინისტროს ორი მოხელით. აქვე ელიან პაპის წარმომადგენელს გაკეტის, რომელსაც, ფიქრობენ, მოყვება მაღალხარისხოვანი პირი ისპანეთის სასახლისა.

## ქართული პრესა.

აჭარლების გარშემო სამხედრო კამათის შესახებ „საქართველო“ სწერს:

აჭარელთა საკითხი პრესაში, თანდათან არა-სასურველ დასასრულს ღებულობს და საზოგადოების მისდამი დამოკიდებულებაც რთულდება. სახეში გაქვს ის გარემოება, რომ საქმე ისეთ ხალხთან და ისეთ პოლემისტებთან შეგვემთხვა, რომელთანაც ცოტა მორიდებითაც უნდა ვიყოთ.

უნდა გამოვტყდეთ, რომ სიმართლეს

# მთებში.

**დრამატიული ეტიუდი.**

ძღვნათ ტ—ს.

**მომქმედნი პირნი.**

გულნარა, ლევან,

დედა და მოხუცი

(დასასრული იხილე „სამშობლო“ № 206).

**გულნარა.** ლევან რად სტირი, რა ფიქრებს გაუტაცნიხარ მწარესა,
გრძნობა მეკარგვის, რომ გიმზერ ესოდენ გულ-მწუხარესა,
კმარა შვილთათვის დედებმა, რაც სისხლის ცრემლი ღვარესა,
როს გმირნი ომში საჟლეტად ბრძოლის ღმერთს მიაბარესა,
შენ ვაჟ-კაცი ხარ, არ გმართებს სისხლის ცრემლების დინება,
ეხლაღა გმართებს მხნეობა და ძალთა გამოჩინება,
შესდექ! აქა ვარ, აქ შენი, მანათობელი ვარსკვლავი,
ნუ გაჰყოლიხარ ფიქრს მწარეს, ნუ გაგონდება საფლავი!

**ლევან.** ოჰ, სულის კერპო, ვით შევსძლო მე იმის გადავიწყება,
რაც ნაღველი სჩქეფს ჩემს გულში სულიერ ტანჯვათ იწყება.

**გულნარა.** ლევან, დასტოვე ეგ ფიქრი მთების ზეიმით სტკბებოდე,
იყავ კვლავ ლაღი, სიამით ყვავილთა ჰანგში დნებოდე.
აქ ვარ ციური შვენება, ბროლ-მკერდზე მიკონებოდე,
ლაღ მთათ ოცნების თეთრ ფრთებზე ელვის სისწრაფით კრთებოდე.
ჰე ლევან, ლევან... (ლევანი უცებ გაასწევეტინებს).

**ლევან.** სადღაა მთებში ლაღობა სულისა,
ფერად ოცნების გვირგვინი და ზრახვა სიყვარულისა.
ცა, მიწაც სისხლმა შეღება, ისმისღა კვნესა გულისა,
წყევად იშლება ლაღადი და ლოცვა სინანულისა...
ჰო, მართლა, იმას გითხრობდი: თოფით რომ მოვკალ ხელადა,
შავი ყორანი ტიალი, იქითკენ წაველ ნელადა.
ზღაპრულ წამებში მყოფელი სიცხადის ასახსნელადა
რა ჯოჯოხეთი ვიხილე გამოუთქმელი ძნელადა,
ავტირდი მწარედ, დამჩრდილა სევდის ლეჩაქის ფენამა,
კაფთ ძვლების ეწყო ხროვანი, მაშინ მისუსტა სმენამა,
თვალთ მონადენი ცრემლები სისხლიან ძვლებზე ენამა,
გულის ნაღველი დასწურა მრავლად ცრემლების დენამა.
და შევამჩნიე ძვლებ შორის თითი ჩემის ძმის ხელისა, (სტირის)
ზედ ეს ბეჭედი შვენოდა უმთელეს იყო მთელისა,
ბეჭედი ვიცან წავაძვრე, ეს იყო ჩემი მწველისა
თითი დავმარხე ზედ მიწა გადავაფარე ვე..ე..ლი..ს...
(ხმა უწყდება და მწარედ ქვითინებს, გულნარა ამშვიდებს).

**გულნარა.** ეგ ჩვენებაა მხოლოდ და სხვა არაფერი მაგვარი,
აქ მთებში ვითარ ამოსწვდეს, სისხლის მჩქეფარე ტბის ღვარი,
აქ კაცთა ძვლებსა რა უნდა სიწმინდეთ ბრწყინავს ცისკარი,
ან ყორნის ჩხავილს ოხრისას, სად მზე ფლობს შუქის მფინარი,
(ამ დროს გაისმის ყვავ ყორანთა ჩხავილი, გულნარა შეკრთება.)

**ლევან.** შეხედე ერთი, შენსა მზეს, შეხედე, რა რიგ ლხინობენ,
მზის სხივთა ეშხით კრთომაზე, უკუნეთ ღამეთ შლილობენ,
ისევ ჩხავიან ტიალნი, მთებშიაც აღარ ფთხილობენ,
გაუმაძღრობით, ოხერნი გახრწნილ სხეულზე ცილობენ.
ჰა, ის ბეჭედიც, (უჩვენებს) უმცროს ძმას რომ ჰქონდა განატანები,
ჩემდა სახსოვრად, როს ომში ერთად წავიდენ ძმანები,
სამნივ საშინელ უფსკრულში სიცოცხლით ჩანაქანები,
სისხლად მჩქეფ ტალღათ შავ ჩქერში წამებით ჩანატანები,
ეხლაღა დავრჩი ობლათა, მწუხარე დედის ამარა,
გმირნი მგზნებარე ცეცხლმა იქ უდროოთ დაასამარა...

**გულნარა.** ლევან რას ამბობ? თვალებზე ბინდი რამ გადაგაფარა,
აქ არ ვარ შენი ხსნის ღმერთი, აქ არ ვარ შენი გულნარა?...
(ლევანს არაფერი არ ესმის)

**ლევან.** (განაგრძობს) ნეტავ თუ იცის მოხუცმა, ნეტავ თუ იცის დედამა,
თუ მისი შვილი ცეცხლის ჯვარს, როგორ ეცვა და ეწამა.
მკვდარი დაეცა ბრძოლაში, გულის პირს სისხლი ენამა,
ყვავმა სჯიჯგნა და ყორანმა, სვავმა მის ძვლები შესჭამა.
ოჰ დედავ, ნეტავ მაჩვენა შენი მწუხარე თვალები,
რომ დაგიკოცნო ძუძუი ცეცხლის რომ მოგდევს ალები,
სად ვგდივარ შენი ლევანი სიცოცხლით განაწვალები,
რომ ნუგეშს არ გცემს მწუხარეს, ვისაც რომ შეევლები,
(მწარედ გმინავს).

**გულნარა.** (ცდილობს ყველაფერი გადაავიწყოს)
ჰა, მკერდი ოდნავ შიშველი, ბროლ ფიქალ, მდები ალისა,
მო, დამეკონე ჭაბუკო, ნუ თუ არ წაგახალისა,
ნუ თუ არ გხიბლავს ღიმილი და მიმორხევა ქალისა,
კოცნად არ გიწვევს ბაგენი, და ეშხი ლაწვებ ლალისა,
ლევან, დაჰკარგე ეგ ფიქრი, დედოფალი სდგას შენ წინა,
თვალთ გაახილე, შეიცან, თუ რომ აქამდის გეძინა,
ვინც სიყვარულის ალერსით, ჭაბუკ სიამით შეგცვინა,
და დედოფლური შვენებით, მთების სილაღე შეგძინა.
არ ვარ მსურველი სხვა რამის ამაყი მთისა ოცნება,
სიყვარულს ვქარგავ ტკბილ ჰანგში, ისაა ჩემთვის თვით მცნება.
ცეცხლად დნებიან ეს თვალნი, ტანთ მზისა სხივი მადნება,
დასტოვე სოფლის ზრახვანი, დასტოვე დედაც მშობელი,
საკურთხეველში შესულხარ, იყავღა ჩემი მკობელი,
ტრფიალთ გულისთქმით დაჭრილი, მიჯნურთ მწარ ბედში მყოფელი,
დედოფალი სდგას შენ წინა, შორს გზად სალელად მხმობელი.

**ლევან.** (ფიქრთაგან გამორკვეული ერთბაშათ შეიცვლება).
ოჰ დედოფალო, რაღა ვსთქვა, მაგ თვალთა ისრით დამჭერი,
ვარ მსხვერპლი სიყვარულისა, და შენი მარად დამჯერი,
აწ შენს ნებაზე ვმოქმედობ, თუნდ ვინმეც მყავდეს დამჭერი,
შენა ხარ მხოლოდ ხსნის ღმერთი და სასოებით სამზერი,
ის რაღაც ფიქრებს გავყევი, აწ ნიავს მივსცე ყოველი,
აქ მთებში შენ ხარ კანდელი, სხივების უხვად მთოველი,
ვით მზის ოცნება, წყლის შხეფზე ციურ შვენებათ მკრთომელი
შენა ხარ უცხო ქმნილება, აწ შევედაროს რომელი?..

**გულნარა.** მე დედოფალი შვენებით, ჭაბუკო შენთვის ვნარნარებ,
ნაზად ვირხევი, შენს სახელს კუბოს ფიცრამდი ვატარებ,
დაგწვავ მხურვალე ალერსით, ჩემით მარტო ერთს გახარებ,
შენთვის იცოდე ღრუბლიანს, და ცუდ ამინდსაც ვადარებ...
(ლევანი გადააგდებს თოფს, და გულნარას მკერდში ჩაეკვრება· სიჩუმეა, რამდენიმე წამს ამ მდგომარეობაში არიან. შორიდან მოისმის საამური ხმები. ასულნი მშვენიერთა მშვენიერებისანი, მოდიან და მოიმღერიან საამური ხმები ოცნებაში მყოფ ტრფიალთ, გამოაფხიზლებს გულნარა ზე წამოდგება).

ჩვენ ეხლა არავინ გვათქმევინებს და უამისოდ კი ჩვენ ვერაფერს ვიტყვით.

მაგრამ არის ერთი რამ, რაც უნდა ვსთქვათ, რათაც უნდა დაგვიჯდეს. უნდა ვსთქვათ, ჯერ ერთი, მიტომ, რომ ყველაზედ ძლიერად ნათქვამი სწორედ ეს იქნება და ამაზედ მეტი სათქმელიც არ გაგვაჩნია.

ბ. სემიონოვის განცხადება—აჭარლები მოღალატენი არიან, ჩვენთვის სამწუხარო უნდა იყოს, რადგანაც აჭარა საქართველოა და აჭარლები ქართველები.

მაგრამ ჩვენის მხრივ ისიც უნდა ვსთქვათ, ვინ არის თვით ბ. სემიონოვი და ვინ არიან საზოგადოთ ის ვაჟ-ბატონები, რომლებიც ასე საკინძე ჩამოხსნილები ლაპარაკობენ სხვის ღალატის შესახებ.

ბ. სემიონოვი ამბობს, რომ მოქალაქემ არ უნდა უღალატოს სახელმწიფოს, მაგრამ სემიონოვი რომ ამით თავის რწმენას ამბობდეს, ეს ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია, რადგანაც გაზეთი, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, ამის წინააღმდეგ საბუთს იძლევა.

ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ არც ერთ ქართველს, ქრისტიანი იქნება ის, თუ მაჰმადიანი, არ უღალატნია სახელმწიფოსთვის და ამის მოწმობა ჩვენ უკვე გვაქვს, სასამართლოს განაჩენის სახით, იმავ აჭარელთა პროცესის გამო. ბ. სემიონოვის მორალი ერთგულებისა კი რომ უნაკლო არ არის, ეს სჩანს თუნდა იქიდან, რომ გაზეთი, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, ხელს უწყობდა ისეთ მოვლენას, რომელიც ერთ ადგილას შეიძლება დასძრახისი არ იყო, მაგრამ მეორე ადგილას სწორედ იმის გამომხატველია, რის წინამღდეგაც ილაშქრებს ბ. სემიონოვი.

ამიტომ ჩვენ უნდა ვსთქვათ ისიც, რომ პატრიოტიზმის ეთიკის თვალსაზრისით და მოქალაქის სახელმწიფოსადმი ერთგულების თვალსაზრისით ბ. სემიონოვი ის პირწავარდნილი ბუშმენია, რომელიც აჭარელების საკითხში მსაჯულად ვერ იქნება.

ამის მეტს ამ ჟამად ჩვენ ვერაფერს ვიტყვით.

დიაღ, უბედურება ის არის, რომ სათქმელი ბევრია მაგრამ პირი წყლით გვაქვს სავსე!...

## პერმიდან დეპეშა.

**სამშობლოს რედაქციას.**

ბრძოლის შემდეგ ერთის მხრით თ-ად აზნაურთა ჯგუფისა და პროგრესიული ბლოკის რომიანკოს შიდლოვსკისა და ევგენი ტრუბეცკოის მეთაურობით და მემარჯვენეებს შორის მეორეს მხრით, გავიყვანეთ ჩვენი პროგრესიული ჯგუფის კანდიდატები. გრაფ. უვაროვმა და მაჩაბელმა მიიღეს 32 ამოსარჩევი და 40 არა ამოსარჩევი ხმა. ამ ჯგუფთან ჩვენი შერთება განმტკიცებულია მომავლისთვისაც. რომიანკომ დაახასიათა საქართველოს წარმომადგენელთა გმირული მოქმედება ამომრჩეველთა კამპანიაში.

**თა-დი ნიჟარაძე.**

**თა-დი ჩოლოყაშვილი.**

—

# ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

✦ გუშინ დილის მატარებლით თბილისს გაემგზავრა ყ-დ. სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზი გიორგი.

✦ გუშინ ქუთაისის ქალაქის გამგეობა შეუდგა სათადარიგო ჯარის კაცთა ცოლშვილისათვის ფულის დარიგებას.

✦ შაბათს, 24 ოკტომბერს, ქუთაისის ქართულ თეატრში წარმოადგინეს ერისთვის ცნობილი დრამა „სამშობლო“ თეატრი ხალხით იყო გაჭედილი.

✦ კვირას, 25 ოქტომბერს, ქუთაისის ქართულ თეატრში დრამატიულმა დასმა წარმოადგინა პიესა „ჯამბაზები“.

✦ ქუთაისის საზოგადო საკრებულო უკვე გადავიდა საზაფხულო შენობიდან საზამთრო შენობაში ვორონცოვის ქუჩაზე დ. ბახტაძის სახლში.

✦ ცნობილ მომღერალს ა. კავსაძეს ნოტებზე გადაუღია „დედა-ენის“ პირველსა და მეორე ნაწილში მოთავსებული ლირიული ლექსები. თავის ნაშრომს მომღერალი ქიათურის პირველ დაწყებით სასწავლებელს უანდერძებს.

✦ 23 ოკტომბერს, წ. კ. გამ. საზოგადოების გამგეობის თათბირზე გადასწყვიტეს მოიწვიონ ყველა განყოფილებათა წარმომადგენლები.

✦ ივანოვის ქუჩაზე დიდი სიბინძურეა. საჭიროა ყურადღება მიექცეს.

✦ ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზ. ქუთ. განყოფილებამ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ სოფ. ნიკორწმინდაში (რაჭის მაზრა) დაარსდეს უფასო წიგნთ-საცავსამკითხველო.

✦ ქუთაისის მთავრობის გაჟით სასწავლებლების გამგეობებს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მიერ განკარგულება მოუვიდათ, რომ უკანასკნელი კლასის მოწაფეებს რომელთაც სურვილი აქვთ სამხედრო სასწავლებლებში შესვლისა გამოსცადონ მომავალ იანვარში და კურსის დასრულების მოწმობები ჩააბარონ.

✦ ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგ. სამტრედიის განყოფილების თავჯდომარემ გიორ. სიხარულიძემ შუამდგომლობა აღძრა შესახებ იმისა, რომ ნება დართოს მთავრობამ ამ საზოგადოებას სამტრედიაში ყოველ კვირას საზავოდ კითხვები მოაწყოს.

✦ როგორც ლეჩხუმის მაზრის სხვადასხვა სოფლებიდან გვწერენ, ავი ენების წყალობით მცხოვრებლები ტყეებს უწესრიგოთ ჰკრიან. ეს იმ გაუგებრობაზე აღმოცენდა, რომ, მთავრობის განკარგულებით, შეწყვეტილი იყო ურიგოთ ტყის მოჭრა. საჭიროა ასეთ მოვლენას ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს.

✦ როგორც ოკრიბიდან გვწერენ ამ ხანებში ცუდი ამინდები დაიჭირა მოსავლის შენახვა მცხოვრებლებმა ვერ მოასწრეს. წელს შედარებით სხვა წლებთან ნაკლები მოსავალი იყო.

### სათეატრო ქრონიკა.

დღეს 27 ოკტომბერს ქალაქი თეატრში გაიმართება ილიას საღამო. მოხსენებას ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის შესახებ წაიკითხავს ა. წერეთელი. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ: იაკ. ვ. ფალიაშვილი, დ. მესხი, ნ. ლორთქიფანიძე, პაოლო იაშვილი, გ. ტაბიძე, და „ქართული დრამის“ მსახიობები. წარმოდგენილი იქნება „კაცია ადამიანიდანი“ და „გლახის ნაამბობიდან“ თითო სცენა. დასასრულ დიდი ცოცხალი სურათი ილია თავის გმირებ შორის.

მისი უკანათლებულესობის თ. დ. გ. შერვაშიძესაგან „ქართული დრამის“ ამხანაგობამ ნებართვა მიიღო სცენაზე წარმოადგინონ მისი ისტორიული პიესა „გიორგი მესამე“. დასი სამხადისს უკვე შეუდგა პიესის დადგმსი სამხატვრო და ტეხნიკურ მხარეებს რეჟისურა უკანათლებულეს ავტორთან ერთად შეიმუშავებს.

— —

ვანო ბარველის ახალი ისტორიული პიესა „ტახტის მემკვიდრე“ რომელიც ცენზურას წარუდგინა ნებართვისათვის „ქართული დრამის“ მსახიობთა ამხანაგობამ მოიწონა და რეპერტუარში შეიტანა წრევანდელ სეზონში წარმოსადგენით.

# საბედისწერო წერილი.

(სურათი სოფლის ცხოვრებიდან)

— მარიამობა დღე იყო. მხცოვან მზეს თავისი მნათობი სხივები უხვად მოეფინა მთელ მიდამოსთვის. ბუნება ეტყობოდა, მხიარულად გრძნობდა თავს.

სოფ. №-ს,—საყდრის გალავანში მთელ ხეობას მოეყარა თავი. ახალგაზდა ქალები გაზაფხულის პეპლასავით აჭრელებულიყვნენ და მოკრძალებით გარს უვლიდნენ საყდარს და თან ცალი თვალით, ქურდულად გაიყურებოდნენ თავიანთ სატრფოსკენ. სოფლებიდგან მოსულ მლოცველებს ჩარდახიან ურმების გვერდით სუფრები გაეშალათ და ტკბილად შექცეოდნენ. ირგვლივ ათასგვარი სიმღერა და საკრავების ხმა ისმოდა. ეს ხმა ერთმანეთში დომხალივით ირეოდა და ადამიანს ყურთა სმენას უხშობდა.

— დღევანდელი დღე მით უფრო შესანიშნავი იყო გლეხთათვის, რომ ძველი ტრადიციის მიხედვით ამ დღეს ხდებოდა დანიშვნა საქორწილოდ მომწიფებულ ქალ-ვაჟისა, რაც საერთო მხიარულებას და კიჟინს იწვევდა. ახალგაზდა ვაჟს, თუ რომელიმე ქალი მოეწონებოდა, დაუფიქრებლად ესროდა მას ხელსახოცს და თუ უკანასკნელი ამითივე უპასუხებდა, მაშინ ერთ-ერთი მხარე, რომელიც იმ სოფელში ცხოვრობდა, მიიწვევდა მშობლებს და გამართავდნენ მოლაპარაკებას, რაც ხშირად იქვე ნიშნობით თავდებოდა. ბევრი ბედნიერი ბრუნდებოდა სახლში, მაგრამ ბევრიც მწარედ დაღონებული იყო და სწყევლიდა თავის გაჩენის დღეს და ბედს ... იღბალს.

— —

ნინო ავყიაშვილის, ქალი მეტად განთქმული იყო თავისი სილამაზით.

მისი კოჭებამდის შხირი თმა, შავი თვალ—წარბი, მოხდენილი სახე, ლერწამივით აყრილი ტანი, კეკლუცი მიხვრა—მოხვრა პირველივე დანახვაზე ადამიანს ხიბლავდა და ატყვევებდა.

ნინოს დედ—მამა მეტად ამაყობდნენ თავიანთი ქალიშვილით და მეზობლებში ლაპარაკის დროს თავ მომწონეთ იტყოდნენ ხოლმე: „ისეთი სასიძო უნდა ვიშოვოთ, რომ თავადსაც ენატრებოდესო“.

— ნინოს,-კი თავისთვის დიდიხანია საქმრო ჰყვანდა ამორჩეული. ეს იყო მეზობლიანთ სოსე, რომელიც თავის სატრფოზე არა ნაკლები კოხტა და მოხდენილი იყო. ამასთანავე იგი იყო განთქმული მოჭიდავე და ლეკურის მოთამაშე, რისთვისაც ბევრი ახალგაზდა სოფლის ბიბი შურით უყურებდნენ მას.

ისეთი რა ლხინი, ან თამაში უნდა გაჩენილიყო, რომ სოსე და ნინო იქ არა ყოფილიყვნენ.

ყოველთვის, როდესაც სოსელა სათამაშოთ გამოვიდოდა, უეჭველათ ნინო უნდა ეთამაშებინა, რამაც დაჰბადა ეჭვი ახალგაზდობაში, რომ მათ ერთმანეთი უყვართ. მაგრამ ეს ორი ახალგაზდა ძლიერ ფრთხილობდნენ, დრომდის არავის გაეგო მათი ურთიერთთან დამოკიდებულება.

II.

— დღეს, როდესაც ყველანი საყდარზე მიდიოდნენ, ნინო დიდ უარზედ იდგა, რადგან თავისი სატრფო, რომელიც ჯარში გაიწვიეს, იქ არ ეგულებოდა. მაგრამ დედ-მამის ხვეწნა მუდარამ ძალაუნებურად გაამედინა წასვლა იმ გადაწყვეტილებით, რომ მონაწილეობა არ მიეღო არავითარ მხიარულებაში, ვინაიდგან ფიცი ჰქონდა დადებული, რომ სოსეს დაბრუნებამდის ელოდა.

გათავდა ლხინი. დაიწყო ხელსახოცების სროლა. ახალგაზდანი გაეშურნენ სეირის საყურებლათ... მოხუცნი მოუთმენლად ელოდნენ, რომელი ვაჟი ვის ესროდა ხელცახოცს და თან ჩუმათ იგონებდნენ თავიანთ ახალგაზდობას. დაჰკრეს ზურნას და გაჩაღდა ხელსახოცების სროლაც. ბევრმა ახალგაზდა ვაჟმა სცადა თავისი ბედი და ხელსახოცი ესროლა ნინოს, მაგრამ ნინო, ყურადღებას არ აქცევდა და ჯეირანივით ყელ მოღერებული დაცინვის ღიმილით ამაყურად გაჰყურებდა ყველას. ღვთის წინაშე არც დედას უთქვამს რაიმე, ალბათ იმიტომ, რომ სასიძოები არ მოსწონდა.—თუმცა გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს, თუ ვინ იყო ამის ქალის მთხოვნელი.

ამ დღეობაში მონაწილეობას იღებდა მახლობელ სოფელში მცხოვრები მდიდარი და განთქმული ოჯახის შვილი სანდრო ქრისტესაშვილი, რომელიც სულ ორი კვირის ჩამოსული იყო რუსეთიდან, ვინაიდგან მთავრობას სრულიად გაენთავისუფლებინა სამხედრო სამსახურიდგან. სანდროს ჯერ ისევ სამხედრო ტანსაცმელი ეცვა—რომელიც ამშვენებდა მის ვაჟკაცურ მხარბეჭს. სანდრო ისეთი კოხტა და მოხდენილი ჩანდა, თუმცა ცოტათი ჩოფური იყო, რომ მთელი იქ მყოფ ქალების ყურადღება მაზედ იყო მოპყრობილი, მაგრამ სანდრო მხოლოდ ნინოს მისჩერებოდა.

— ასეთ მდგომარეობაში იყო სანდრო, როდესაც მასთან მივიდა მისი მოხუცი ბებია და ყურში ჩასჩურჩულა.

— რას შვრები, ვერავინ მოგეწონა?

— მომეწონა მაგრამ...

— მაგარი?

— ვერა ბედავ, ვაი თუ მეც შერცხვენილი დამტოვოს და მაშინ რაღათ მინდა თავი ცოცხალი.

---

**გულნარა.** ლევან, შეხედე ციურ არსთ ყვავილებს ჰკრეფენ ფრთხილადა,
მშვენიერების ასულნი, მოჰკრიან წყვილ და წყვილადა,
ყური მიაპყარ ნარ ნარ ხმათ, მკერდს მესხმებიან ლილადა,
ზვარსთ შვენების გვირგვინნი, მოირხევიან ჩრდილადა.
(ასულნი გარეგულათ მღერიან).
და მოვირხევით წყვილ-წყვილნი,
ჰა ბროლის თითნი გაწვდილნი
დავკრიფოთ მთებში ყვავილნი
მთის სიამაყეთ ამღილნი
ქება ვსთქვათ სიყვარულისა,
ედემს ყვავილათ რგულისა,
ლოცვები სინანულისა
უკმიოთ ღელვილ სულისა,
უსრულეს არის სრულისა,
ის ხსნაა ბედით კრულისა,
სიამის მფენი გულისა.
გამკურნებელი წყლულისა.

**გულნარა.** ლევან, აქ დარჩი, მეც მათთან დავდნები ციურ ღიმათა,
ყვავილებს დავკრებ ბროლ თითნით, შევუერთდები იმათა.
წკრიალა ხმათა სიტკბონი აგებმის სულის სიმათა,
და დაგეფრთქვევა მაგ მკერდზე მდუღარე შვების წვიმათა.
(ასულთ შეუერთდება გულნარაც და მთას მიეფარებიან. შორიდან კიდევ ისმის წკრიალა საამური ხმები. ლევანი დიდხანს სტკბება უცხო ხმებით. რამდენიმე ხანს შემდეგ ზე წამოდგება. ხედავს საშინელ სურათს, ხედავს თვით ჯოჯოხეთს. თითქოს ბრძოლის ხმებიც ესმის, ყიჟინა, ხოცვა, კვნესა, წუევა თვით გაჩენისა. ხედავს თავის სამ ძმას, სისხლი ჩამოდისთ გულისპირზე გამხდარი სახენი, კვნესიან, შველას თხოულობენ. აგერ უმცროსი ძმა ლევანისაკენ გამოექანა თითქოს მკერდი გაპობილი აქვს, შუბლი სისხლიანი მარჯვენი ხელის თითი აღარ აქვს მოუგლეჯია ცეცხლს, მწუხარე თვალებით ლევანს შველას სთხოვს. ხედავს თითქოს დედასაც თვალ-ცრემლიანს, მწუხარეს, მის თვალ წინ იშლება ვრცელი მიდამოები დაჭრილთა და დახოცილთა აღსავსენი. კვნესა, დაუსრულებელი გმინვა.

**ლევან** (გაფითრებული სახით). რა რიგ დაბნელდა კვლავ სულში, რა რიგ
ფიქრებმა წამიღეს,
კვლავ სევდის ჩრდილს მფენს უკუნი, ასულთ ხარხარი დაიწყეს,
ქვესკნელის მპყრობელ ძალებმა, ხვევნა-ალერსი დამიწყეს.
მარტოდ შობილი, მარტოდ ვარ სულყველამ გადამივიწყეს.
(ამ დროს ყვავ ყორნები ჩხავილით გადაუვლიან).
ჰე, ჯოჯოხეთის ძალთაგან კვლავ ცეცხლში კვნესით გმინავენ.
ბრძოლის კერპები ციმციმით, იქ მაღ ლ სერზედ ბრწყინავენ
ცეცხლი ანთია საქვეყნო, თოფ-ზარბაზნები გრგვინავენ
ჰაბუკ სიცოცხლეს გმირები მსოფლიო ტრაპეზს სწირავენ.
ჰა ჩემი ძმებიც (თითქოს ხედავს) სამსავეს გულისპირს სისხლი ჩამოსდის.
ბნელა კვლავ სულში, სიცივით, ბრწყინვალე მზეც არ ამოდის,
აგერ უმცროსი, უხელოთ მკერდ-განგმირული რომ მოდის (თითქოს),
(პაუზა).
ოჰ, რისთვის ასე ვწვალდები, სულიც რომ აღარ ამომდი ?
ჰა, დედაც ისევ მწუხარე, შვილებს მკერდს უხვევს, დაფლეთილს,
ზარბაზნის კვამლზე, ცეცხლისა, მგზნებარე ალით დაგლეჯილს,
ჰა, აგერ მწუხარ თვალებით, მტირალს ვჰვრეტ ნაწნავ დაწეწილს,
(წაიწევს თითქოს დედისკენ).
დედავ მოეხვიე აწ ობოლს, წვალებაში მყოფ შენსა შვილს...
(სტირის).
დედავ მეც მათთან მოვკვდები, ბრძოლათ ენთება ეს გული,
აქ მთებში ყოფნას არ კმარობს, აწ შენი შვილი ბედ-კრული,
ჯოჯოხეთია ჩემ თვალ წინ, ვარ თითქოს ხელებ შეკრული.
დედავ მეც ამ კერდს დავიფლეთ რომ შემიხვიო შენ წყლული.
(სიჩუმე).
დედავ, ოჰ დედავ ვიხარებ, დაჭრილი შენს ხელთ ვკვდებოდე,
შენი მწუხარე თვალებით დაფლეთილ გულში მწვდებოდე,
მეც ტიალ ყვავთა და ყორანთა საძიძგნელ ლეშად ვხდებოდე.
(მოტრიალდება და თოფს აიღებს, იარაღს გაისწორებს, მაგრამ ისევ შესდგება).
ეჰ, სად მივდივარ ამ ცეცხლით (შეატრიალებს თოფს), ჩემებრ ვინ უნდა
ვაწამო.
სისხლის მორევში ტრიალით, ბრწყინვალე დღენი ვალამო.
(ისმის ყვავ-ყორანთა ჩხავილი)
სჯობს ისევ ტყვიით ეს გული განვგმირო, სოფლით განვიდე,
ეგებ დამკვიდრდეს ჩემს სულში მარადიული სიმშვიდე,
მშვიდობით ჩემო გულნარავ აწ ძნელი საქმე თავს ვიდე,
ამას გთხოვ, საფლავს მღერარეს, მაგ ხმათა სიტკბოს მაწვდიდე.
(ამოიღებს რევოლვერს მკერდს დაიცემს და ძირს ეცემა ამ დროს თითქოს დედას ხედავს)
ოჰ დედავ, დედავ, შენა ხარ? მო შემიხვიე ჭრილობა
ძნელი ყოფილა სიკვდილი, და თვალთ-წინ საფლავთ შლილობა,
წუთიერია ამ ქვეყნათ ზეიმით გულის ლხინობა,
უეცრივ ჰქრება სიცოცხლე, ვით ეშხით ვარდთა შლილობა,
ოჰ დადავ... დე...დავ... (ხელებს ხვევს, მაგრამ ხელში სიცარიელე რჩება).
(რამდენიმე წუთს შემდეგ ერთი მხრიდან შემოდის მოხუცი გძელი თეთრი წვერით მეორე მხრიდან თვალცრემლიანი დედა).

**მოხუცი.** დაცალიერდა ქვეყანა, სისხლის ღვარი სჩქეფს ჩუხჩუხებს,
ეჰ ვინ მისწვდება ჩემი ნდომათ, ან ესდენ გულს რა მიდუღებს,
მოხუცი ამ დღის შემესწრები, რას მოვთქვამ, ან რა მაწუხებს,
ნუ თუ ეს ჟამი ჩემს ყოფნას აწ ცალა ბოლოს მოუღებს?
(შენიშნავს თვალცრემლიან დედას)
ჰე მან ვინ სდგეხარ, შენც სტირი ცრემლებს ათოვენ მწარესა?

**დედა მწუხარე.** დედა ვარ ოთხის შვილისა, რომ მიმზერ გულ-მწუხარესა,
სამი ბრძოლის ღმერთს შევსწირე, წამებით ტანჯვის მხარესა,
მეოთხეც არ სჩანს აქ მთებში თავი რომ შეეფარესა,
ოცდა მეხუთე დღე არის დავეძებ მწუხარ თვალებით,
გაზდილნი მყვანდნენ, სიმწრით და ათას გვარი წვალებით,
ძუძუ დამიწყვეს მკერდშია, მგზნებარე ცეცხლის ალებით
მიმოიფარენ არენი, მებრძოლ ლომ-გმირთა ძვალებით...
(სტირის)
გამიპარტახეს გარემო, წყალი დამისხეს კერაზე
ვაჰ რა რიგ ცუდ წამს ვშობილვარ, უბედურ ბედის წერაზე
გული სტკბებოდა ხალისით ჩემ შვილთა სახის მზერაზე
ეხლადა მოვსთქვამ, ზეიმით ბრძოლის ღმერთების მღერაზე ..
ოჰ შვილნო ვაი თქვენს დედას...... (ამ დროს შეამჩნევს ლევანს და რადგან საზარელი სახის გამომეტყველებით მუხლებზე ეცემა, ჰკოცნის შვილის გაციებულ გვამს, შემდეგ ცრემლიან თვალებს ზე აღაპყრობს და უსიტყვოთ და უმოძრავოთ სდგას. შორიდან ახლოვდება ასულთა ნარნარი ხმები. ასულნი მოუახლოვდებიან სისხლში მოაბანავე ლევანს. გულნარა მარგალიტის ცრემლთა ფრქვევით განბანს მკერდ განგმირულ ლევანს. ასულნი მშვენიერთა, მშვენიერებისანი დასტრიალებენ გაციებულ სხეულს და ყვავილს აფენენ, მოხუცი ხელაპყრობილი ლოცულობს, დედა ნაღვლიანათ ისევ უძრავათ დგას ასულნი ტკბილათ მღერიან, გულნარა გაციებულ ლევანს ისევ მარგალიტის ცრემლებს აფრქვევს.)

(ფ ა რ დ ა.)

**ლადო მაჭავარიანი.**

— ამ სიტყვებით მოხუცი მიხვდა ვიზედაც ჰქონდა ლაპარაკი ვაჟს და მაშინათვე გაექანა იქით, სადაც ნინო და მისი დედა იდგენ... გავიდა თითქმის ნახევარი საათი, როდესაც მოხუცი კვლავ მივიდა სანდროსთან და გამარჯვებული შესძახა.

— ესროლე ნუ შიშობ.—ამ სიტყვების გაგონებაზე სანდრო ცოტა არ იყოს შეკრთა და მაშინვე სიხიარულე იგრძნო გულში, მაგრამ ერთ ხანობას ვერა ბედავდა ხელსახოცის გადაგდებას, აქ კვლავ დედაბერი ჩაერია და სანდრომაც გაბედულათ ესროლა ნანოს ხელსახოცი,—უკანასკნელმა წარბიც არ შეიხარა,—მაგრამ მისი დედა სწრაფლ დასწვდა ხელსახოცს და უკანვე გადაუგდო სანდროს,—ეს ისეთი სისწრაფით მოხდა, ვერავინ შეამჩნია... ხოლო დედაბერთა წყალობით სწრაფლ მოედო იქაურობას სანდროსგან ნინოს დანიშვნის ამბავი, რამაც ბევრ ახალგაზდის გულში მწუხარება გამოიწვია, ხოლო სანდროს გამარჯვებულს აქეთ-იქიდან ეპატიჟებოდნენ და ულოცავდნენ ბედნიერებას..

დღეობა დამთავრდა, ბევრი ბედნიერი ბრუნდებოდა სახლში, ბევრი კი სწყევლიდა თავის უიღბლობას, მაგრამ ყველაზე უბედურად ნანო ჰგრძნობდა თავს, რადგან დარწმუნებული იყო მისი დედმამა უარს აღარ ეტყოდნენ სანდროს.

ნინომ გვირგვინის დადგმამდის თავისი დანიშნული ახლოს არ გაიკარა და დიდ წინააღმდეგობას უწევდა მშობლებს ჯვრის წერაზე და ემუქრებოდა თავის მოკვლით, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა... და მშობლების მტკიცე დადგენილებას უნდა დასთანხმებოდა და საბრძოლველი იარაღით დაეყარა. თუმცა ნინომ პირობა მისცა მშობლებს, რომ მშვიდ ცხოვრებას მისცემოდა და შეეგებოდა თავის ბედს, მაგრამ პირველ ხანებში ვერ შესძლო და ძალიან უსიამოვნო ცხოვრება ჰქონდა ქმართან, ისე დღე არ გავიდოდა, რომ ჩხუბის ლუკმა არ ექმია. ყოველთვის ტიროდა, ბრაზობდა, ანჩხლდებოდა. ქმარი არაფერს ეუბნებოდა და პირიქით დაყვავებითა და ხვეწნა—მუდარით ცდილობდა მის დამშვიდებას. სანდრო ცდილობდა რითიც კი შეეძლებოდა ესიამოვნებინა ცოლისთვის და ისე კვირა არ გავიდოდა, რომ ქალაქიდგან რაიმე საჩუქარი არ მოეტანა და პირველი „მოდნა" სოფელში ხომ ნინოს უნდა ჩაეცვა. საბრალო სანდროს დედ-მამა პირში თქმას ვერას ბედავდნენ, რადგან იცოდნენ რძლის ხასიათი და ამიტომ განმარტოებით წუწუნებდნენ, რომ ასეთი ანჩხლი რძალი ხვდათ წილად.

ამ ყოფაში გადიოდა დრო და ჟამი, მაგრამ აი, ერთს, სანდროსთვის ბედნიერ დღეს, ნინოს ვაჟი შვილი ეყოლა. იგი შეიპყრო დედობრივმა სიყვარულმა, ნელნელა დამშვიდდა და სანდროს ოჯახშიც მყუდროება ჩამოვარდა.

ბედნიერი, შეიქნა სანდრო ბედნიერი!

II

— იმ დღიდან, როდესაც სოსე თავის სატრფოს დაშორდა, მისი გული აღარ გახარებულა, ვინაიდგან მთელი მისი არსება, ფიქრი ნინოზედ იყო მიპყრობილი. ხშირად მტერთან ბრძოლაში დაქანცული, როცა დასასვენებლად გამოვიდოდა, განმარტოებით დაჯდებოდა და მიეცემოდა ხოლმე ფიქრს მომავალზე.

სოსე სწუხდა, რომ წერა არ იცოდა, რომ წერილი მიეწერა სატრფოსათვის, სხვას კი თავის გულის პასუხს ვერ უზიარებდა. თუმცა მშობლებს პირველხანებში უგზავნიდა წერილს სხვის დაწერილს და ერთხელ იმათგანაც მოუვიდა, სადაც ნანოს მოკითხვაც იყო, მაგრამ აგერ თითქმის ათი თვეა ბრძოლაში გაბმული და ვეღარც წერილი მისწერა თავის მშობლებს და აღარც იმათგან მიუღია.

ახ, ნანო, მწარედ წარმოსთქვამდა ხოლმე სოსელა,—თუ არ მიღალატე და შეასრულე შენი ფიცი, ავიყვდებ და სალოცავად გაგიხდი და თუ მიღალატე... და თან ამ სიტყვებთან გაიქნევდა და კბილებს დაუწყებდა ღრიჭინს,—ვფიცავ გაჩენ ღმერთს, ცხვარივით წავჭრი თავს შენს მოტრფიალეს და შენც. ასეთ ფიქრებში ატარებდა სოსელა ომის ასპარეზე თავისუფალ მიცემულ საათებს, როცა მისი სატრფო ნანო მხიარულად ეთამაშებოდა თავის ორი თვის ბავშვს და სოსელა კი სრულიად მივიწყებოდა.—.

ერთ საღამოს, როდესაც სოსელა „ობოზს" უდგა ყარაულად და რუსულ ქურქში აღარ ჩანდა და რუსული ჩექმებით აქეთ-იქით დარბოდა, რადგან სიცივეს შეეწუხებინა, მივიდა მასთან ერთი რუსი სალდათი და მიაძახა:

— სოსელა ჯინალიშვილი, ვამ პისმო! ამის გაგონებაზედ სოსელას სიხარულის ღიმილმა გაურბინა სახეზე და გულმა ძიგძიგი დაუწყო. ის დარწმუნებული იყო რომ ნინოსი რაიმე ეწერებოდა და რადგან თვითონ კითხვა არ იცოდა, მოუთმენლად ელოდა თავის მორიგობის ვადის გათავებას, რომ ვისმესთვის წაეკითხებინა, თუმცა ქართველი ჯარის კაცი მათ როტაში არ ერია და ერთი სამი ვერსი უნდა გაევლო, ვიდრე იმ როტაში მივიდოდა, რადაც სამიოდე იმერელი ბიჭი იყო.

— დასწყევლოს ღმერთმა, ვეღარ გავიდა ეს ტიალი ორი საათი—მალ მალ იტყოდა ხოლმე და გახედავდა ხომ არ მოდიან გამოსაცვლელადო. მაგრამ იმედი უცრუვდებოდა და ერთი წუთი საათათ ეჩვენებოდა.

როგორც აყო ორმა საათმა განვლო და სოსელა გამოცვალეს, იგი სწრაფლ გაექანა იქით სადაც „ნაკითხი" ქართველები ეგულებოდა.

წერილი ასე იწყობოდა: ძვირფასო შვილო სოსელი, მოგიკითხავთ. მოგიკითხეს ამან და ამან. ვინძლო თავი შეინახო და შენი მოხუცი დედ-მამა შავებით არ შემოსო და სხ. როდესაც წერილს კითხულობდნენ, სოსელა თრთოდა და მოუთმენლად ელოდა ნინოს ამბის გაგებას... ახლა შვილო სოსელ, ახალი არაფერია მხოლოდ ნინო აცყიაშვილის ქალი მდიდრიანთ სანდრომ შეირთო და შვილიცა ჰყავთ.—

ამ კითხვის დროს სოსელას ფერი წაუვიდა, თავმა რატრატი დაუწყო, გული საშინლად უცემდა და „შერთვის" გაგონებაზე ერთი საშინლად ამოიხრა, გულში ხელი ჩაიკრა და გულ წასული გადავარდა უკან იქ მყოფნი მაშინათვე მივარდნენ და დაუწყეს ბრუნება, ზოგი ყურებს უწევდა, ზოგი წყალს ასხურებდა, მალე როტის ფერშალიც მოვიდა, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. სოსელა მკვდარივით ეგდო გაშხლართული. ეს ამბავი „როტნი კამანდირსაც" აცნობეს, იგი მოვიდა, გაიგო საქმის ვითარება და სოსელი საავადმყოფოში გაგზავნეს.

სოსელას საშინელი სიცხე მისცა და თითქმის ათი დღე ხმა ამოუღებელი უჭმელ უსმელი ისე იდო ლოგინში. ყოველივე ცდა ექიმებისა ამაო გამოდგა. სოსელას ტვინის ანთება დაემართა.

სოსელამ, ორმოცი დღე სიცხესა და ბოდვაში გაატარა. მხოლოდ შემდეგ ნელნელა დაიწყო გამოკეთება, მაგრამ იგი ნახევარ ადამიანი აღარ იყო, თვალები ჩასცვენოდა, სახე დალმეჭოდა, მთელი დღე ჩუმათ დადიოდა თავისთვის დაფიქრებული და არავის კითხვაზე პასუხს არ აძლევდა. თავისთვის შეშლილივით რაღაცაც ბუტბუტებდა და ხელებს შლიდა... ექიმების კომისიამ იგი სამსახურისთვის უვარგისათ სცნო, მოსარჩენათ ხამშობლოში გამოგზავნეს და თბილისის ერთ ერთ საავადმყოფოში მოათავსეს.

გავიდა რამდენიმე ხანი და სოსელამ თან და თან მოიხედა.

გაზაფხულის ერთ დღეს სოსელა ჩავიდა უფროს ექიმთან და სთხოვა გაენთავისუფლებინა, ექიმი მხიარულად შეხვდა, მხარზე ხელი დაადო და გულმოდგინეთ გასინჯვის შემდეგ მართლაც საავადმყოფოდან გამოსწერა.

III.

— სოსელას მისვლამ სოფელში ძრიელ გაახარა მისი მშობლები, ნათესავნი და ტოლ-ამხანაგნი, ამიტომაც ბევრი მიდიოდა მის მოსაკითხავად და აგრეთვე ომიანობის და თავანთ მახლობელთა ამბის გასაგებად. სოსელა თუმცა ყველას აკმაყოფილებდა, მაგრამ ცდილობდა ძალიან ნაკლები ელაპარაკნა და ამიტომაც ხშირად ემალებოდა მიმსვლელებს, რადგან განმარტოებით დარჩენა და ფიქრი მას ერთგვარ ჩვეულობათ დასჩემდა, რაც ძალიან აფიქრებდა მის დედ მამას, რომელნიც ცდილობდნენ რაიმე წამალი გამოეძებნათ შვილისთვის. მეზობლები ხომ გაოცებულნი იყვნენ მხიარულ და მალხაზ სოსელას ასეთ მდგომარეობით და კუდიც კი გამოაბეს: „იქა, ქალო, სადა იყო, ალბათ ავი სული დაეპატრონაო" იტყოდნენ ხოლმე ქალები.

ვინ რა იცოდა, თუ რა ცეცხლი და ბოღმა ტრიალებდა მის გულში. დრო გადიოდა და სოსელა თანდითან ხმებოდა, ავანდმყოფობა ემატებოდა და გულიდგან სისხლს იღებდა. მთელი სოფელი სინანულით იცნიებდა და ყველა მონაწილეობას იღებდა მის წამლობაში, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. ნინომაც გაიგო სოსელას დაბრუნება და მისი ავანდმყოფობა და ცოტა არ იყოს გულში აღეძრა ძველი სიყვარული მისდამი, მაგრამ თავს იკავებდა.—

სანდრო ნათლად ამჩნევდა, რომ ნინოში რაღაც ცვლილება მოხდა, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, რა იყო მიზეზი, რადგან მას ჰორაიაც არ გაეგონია, თუ ნინოს ოდესმე სოსელა უყვარდა.

ნინო მთელი დღე ფიქრში ატარებდა, უმთავრესი მისი ფიქრი ის იყო, თუ ოდესმე შეხვდებოდა სოსელს, როგორ და რა პასუხი მიეცა ღალატისთვის. ნინო მწარე ფიქრებმა დაადნეს, ზეზურად ჩამოხმეს.

——

— კათათვის ცხელი საღამო იყო. მთელი სოფელი კალოებზე გაფენილიყო და დღით გალეწილ პურს ანიავებდნენ. ისმოდა კიჟინა და სიმღერა. ნინო აივანზედ გამოსულიყო, აკვანი გამოეტანა და ხელში საკერავი ეჭირა, სანდრო და მისი დედ-მამა კი კარგა მოშორებით კალოზე მუშაობდნენ.

— გამარჯვება თქვენს ოჯახს,—მოულოდნელათ მოესმა ნინოს ვიღაცას ხმა.

— ნინო შეკრთა და თავშალი გაისწორა.

— სტუმარს ხომ მიიღებთ?—კვლავ მიმართა უცნობმა.

— რატომ,—ეხლავე ჩემს ქმარს დაუძახებ და მოემზადა წასასვლელათ, მაგრამ.. რა შეხედა კარგათ სტუმარს, ფერი ეცვალა, გულმა ძაგძაგი დაუწყო, იქვე გაუნძრევლად სკამზე დარჩა და ტუჩებიდგან უნებურად მოსწყდა:

— სოსელ!

— დიახ, სოსელ!,—დაცინვით გაიმეორა მისულმა,—როგორღა მიცანი, განა ძველი სოსელი ვარ? სტუმარს საშინელი ხველა აუტყდა. და ერთ ხანობას ხმის ამოღება ვეღარ მოახერხა, ნინო კი მწარეთ ქვითინებდა.

— რაღ ტირი? დაიწყო მისულმა,—ჩემი დღენი დათვლილია, რატომ მაშინ არ სტიროდი, როცა მღალატობდი, ფიცსა სტეხდი?

— მე არ მიღალატნია... მე ძალმომრეობის მსხვერპლი ვარ!... გულსაკლავათ წამოიძახა ნინომ და სოსელას მიაშურა, უნდა გადახვევოდა.

— იქით,—მე არ მოვსულვარ ღალატისათვის... შენ ეხლა ქმარ-შვილიანი ქალი ხარ და შენი სიყვარული ჩემთვის გამოსადეგი აღარ არის. ხომ მხედავ მომკალი კაცი!...

სოსელა წაბარბაცდა. და კვნესით დაეშვა იატაკზე ..

— ვერა, ვერ მოგკლავ... იცოცხლე... იმხიარულე! როდის როდის წამოიძახა სოსელამ.

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

მთელმა სოფელმა დიდის მწუხარებით დაიტირა სოსელა, მხოლოდ ნინო კი ლოგინათ ჩავარდა და დღე-დღეზე სიხარულით მოელის შავ სიკვდილს.

არავინ იცის მიზეზი ნინოს ასე გატეხისა...

სანდრო გაგიჟებულივით დარბის მკითხავებში, მაგრამ მის ტანჯულ ყოფნას შველა მაინც არსაიდან უჩანს...

ვანო საათაშვილი.

სოფ. არბაშენი, ყარსის ოლქი.

## ანგარიში.

**შემოწირულებანი ვანში 12 ივლისს მომხდარ სეირნობაზე ადგილობრივ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ.**

აკაკი აბრამიძემ, ერთი კოლოფი კონფეტი, ივანე კაშიამ, ერთი საპონი, აბეშა ხახანაშვილმა. ორი ადლი ჩითი, გიორგი ჩახუნაშვილმა ორი პაპიროსი, 1 პარ. და ერთიც საპონი, შალომ ჩიკვაშვილმა, სამი ადლი ტილო, მიხეილ რამიშვილმა, ერთი ქუდი, იოსებ თეთრუაშვილმა, სამი ადლი ჩითი და აბაზი ფული, ისხრაკ პაპიაშვილმა ერთი საშაქრე, მიხეილ ჩიკვაშვილმა, სამი ადლი ტილო, ეფრემ ჩიკვაშვილმა, სამი ადლი ჩითი, იაკობ სანადირაძემ ერთი საშაქრე, გიგო კალანდაძემ, ერთი საპონი და ერთი სარდინკა, დანიელ პაპიაშვილმა, სამი ადლი ჩითი, მიხეილ პაპიაშვილმა, ერთი ჭიქა, ილია ჩიკვაშვილმა, ოთხნახევარი ადლი ჩითი, კალისტრატე გოგაძემ, ერთი ჩაიდანი, შელიტონ კანკაძემ, ერთი პორტსიგარი და ერთი საპონი, ბიკტორ რამიშვილმა, ერთი საშაქრე, პარმენ დიასამიძემ, ერთი პირსახოცი, სპირიდონ დიასამიძემ, ერთი მალამო ფეხსაცმლისა, პარმენ აბრამიძემ, წუღები, მათე დიასამიძემ, ერთი საპონი, ალექსანდრე გურგენიძემ, ორი ჩაი, ანდრია მელაძემ, სამი ადლი ჩითი და ორი პაპიროსი, ბიკტორ აბრამიძემ, ორი ჭინჭილა, თომა მორჩილაძემ, წუღები იოაკიმე კორძაძემ, წუღები, ივანე ხელიძემ, წუღები, ელისე შენგელიამ, ბავშის ქალამნები, აქსენტი ინჯიამ, ერთი დოქი, კონსტანტინე ნიკოლეიშვილმა, ერთი დოქი, სოლომონ გიორგაძემ, წუღები, ექვთიმე ფხაკაძემ ბატინკები ბავშისა, ნესტორ შენგელიამ, ერთი ოდეკოლონი და ერთი ბადია, ლუარსაბ საღრიშვილმა, ერთი მათრახი გიორგი მორჩილაძემ, წუღები, ილარიონ ძაგნიძემ, წუღები, სილოვანე აბრამიძემ, ფეხსაცმლის რეზინები, იონა აბრამიძემ, ორი დუჟინი პალტოს ფოლაქები, ივანე მგალობლიშვილმა, სამი შარფი ერთი კოლოფი კანფეტი, დიმიტრი დიასამიძემ, ერთი პორტმონე და ქუდი სოფიო მიქელაძისა წულუკიძის ასულმა ხუთი მანეთი ფული და ერთი წიგნი დავით გურამიშვილის თხზულებანი, ნინა ბაქრაძის ასულმა ორი სურათი — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისა ჩარჩოებით, ვასიკო ბაქრაძემ, ერთი თიკანი, ნიკოლოზ მატვეევმა, (ვანის ბოქაულმა) ერთი მანეთი ფული და ლოტორეიას გასათამაშებელი ყუთი, დომინიკა ხელიძის ასულმა ერთი პირსახოცი, მელქისედეკ ხელიძემ ერთი საკედლე სურათი, რიფსიმე ხვინგიას ასულმა ერთი გალსტუკი ვერა ბაქრაძისამ, სამელნე ძივებიანი, ვარლამ ბიბილაშვილმა, ყაზბეგის თხზულებანი მშვენიერი ყდით.

ზემოხსენებული პირების შემოწირული ნივთები ზოგი იყო გათამაშებული ლოტორეიაში სეირნობის დროს, ზოგნი კი დარჩა თვით სამკითხველოში სამახსოვროდ.*)

გამგეობის თავჯდ. **ევს. მგალიანი.**
საქმის მწარმოებელი: **ვ. რატიანი.**

*) ამ ანგარიშის დაბეჭდვა სხვადასხვა მიზეზების გამო შეგვიანდა. რედ.

### წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ [illegible] ფურცლებით მადლობა გამოუცხადო შემდეგ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს ზედა მაღლაკის უფასო წიგნსაცავ სამკითხველოს წიგნები და გაზეთები: ნატალია ნიკოლოზ ნიჟარაძის ასულმა კნეინა წულუკიძისამ შემოსწირა ოცდა თექვსმეტი ცალი ქართული წიგნი, თამარ რევაზ ყიფიანის ასულმა ბაქრაძისამ ას ოთხმოცდა რვა ცალი რუსული წიგნი. 3 ოლღა გრიგოლ ტყეშელაშვილის ასულმა რუხაძისამ რომელმაც გადაცვალებულის ძმის ნესტორ ტყეშელაშვილის სახელზე მდგომარე წლის იანვრის პირველის რიცხვიდან სამკითხველოს გამოუწერა გაზეთი „სამშობლო".

სამკითხველოს გამგეობა.

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე.**

### მატარებლების მიმოსვლა.

| | | |
|---|---|---|
| **ქ. ქუთაისს მოდის.** | | |
| თფილისიდან | — დილის | — 5 ს. 50 წ. |
| „ | — ღამის | —11 ს. 30 წ. |
| ბათომიდან | — დილის | —10 ს. 5 წ. |
| „ | — ღამის | — 2 ს. 23 წ. |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 30 წ. |
| ტყიბულიდან | — დილის | — 9 ს. 38 წ. |
| „ | — საღამოს | — 7 ს. 39 წ. |
| **ქ. ქუთაისიდან გადის.** | | |
| თფილისისაკენ | — დილის | — 7 ს. 55 წ. |
| „ | — ღამის | — 1 ს. 7 წ. |
| ბათომისაკენ | — საღამოს | —10 ს. — |
| „ | — დილის | — 4 ს. 27 წ. |
| ფოთისკენ | —ნაშუადღ. | — 4 ს. 14 წ. |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 6 ს. 40 წ. |
| „ | —ნაშუადღ. | — 4 ს. 20 წ. |

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი" („როსსია"),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლოგერიძე.**

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

**დიდი იაფი ვაჭრობა**

**ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.**

**რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.**

თფ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

**ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია**

**ალექსანდრე ი. კოსტავასი**

თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.

ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსახურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში**, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

**მიღებულია დიდძალი**

**საპნის გასაკეთებელი „სოდა"**

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.